

16. კონცეპტ დევის გადატანა „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში და მისი შედარება თურქულ ლიტერატურაში გავრცელებულ დევის პერსონაჟთან

აბსტრაქტი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ლირიკული პასაჟების შემცველი ეპიკური პოემაა. შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიოს 58 ენაზე შესრულებული თარგმანი უმნიშვნელოვანესი ინტერდისციპლინური რესურსია სხვადასხვა დარგისთვის მსოფლიო მასშტაბით, რადგან მსოფლიოში სულ რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოებია ამდენ ენაზე თარგმნილი. ჩვენ გამოვიკვლევთ კონცეპტ დევის „ვეფხისტყაოსნის“ ბილალ დინდარისა და ზეინელაბიდინ მაქასის თურქულ თარგმანში და შევადარებთ მას ამ კონცეპტის თურქულ ლიტერატურაში გავრცელებულ მნიშვნელობებთან. მთარგმნელი ცდილობს კონცეპტ დევის კულტურული ადაპტაცია მოახდინოს თარგმანში და მაქსიმალური სიზუსტით აღწეროს ეს ლექსიკური ერთეული. დევი, პირველ რიგში ფოლკლორულ-მითოლოგიურ გაგებას უკავშირდება, რაც ასევე ფართოდაა გავრცელებული თურქულ ლიტერატურაშიც. საინტერესოა ორი განსხვავებული კულტურა როგორ გადმოსცემს ამ კონცეპტს, მაგალითების საშუალებით ჩვენ ვნახავთ კონცეპტ დევის ეკვივალენტებს „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში და მის სიმბოლურ, აზრობრივ დანიშნულებას გამოვიკვლევთ თურქულ ლიტერატურაში. მითოსური პერსონაჟი - დევი ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც უზარმაზარი ზღაპრული არსება, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავის მქონე, ხოლო თურქული ენის ლექსიკონში საშიში, უზარმაზარი, ზებუნებრივი ძალის მქონე ქმნილებაა. კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს – „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტის და თურქული თარგმანის კორპუსლინგვისტური ანალიზი. ამ მეთოდის გამოყენება დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სწრაფად და ეფექტურად დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც კვლევის პროცესს საგრძნობლად ამარტივებს. კორპუსლინგვისტიკა ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის მეთოდია, რომელიც დიდი მოცულობის მასალის მოკლე დროში დამუშავების და კვლევის შედეგების გადამოწმების საშუალებას იძლევა. თანამედროვე ციფრული მეთოდებიდან ასევე გამოვიყენებთ პარალელური კორპუსის მეთოდს, რაც საშუალებას გვაძლევს ორიგინალი და თარგმნილი ტექსტები ერთმანეთს შევადაროთ და მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია მივიღოთ, ვიპოვოთ და გავანალიზოთ ორ განსხვავებულ კულტურას შორის მსგავსება-განსხვავება.

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველი, თარგმანი, დევი, ორმოცი

„Kaplan Postlu Şövalye“ Manzumesinin Türkçe Çevirisinde “Dev” Kavramının Aktarımı ve Türk Edebiyatındaki “Dev” Karakteriyle Karşılaştırılması¹**Nona NİKABADZE²**

APA: Nikabadze, N. (2025). კონცეპტ დევის გადატანა „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში და მისი შედარება თურქულ ლიტერატურაში გავრცელებულ დევის პერსონაჟთან. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (46), 227-242. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.15732781>

Öz

Şota Rustaveli'nin *Kaplan Postlu Şövalye* manzumesi, ortaçağ lirik pasajları içeren önemli bir epik eserdir. Dünya edebiyatının önemli eserlerinden biri olarak kabul edilen bu manzume, 58 farklı dile çevrilmiştir. Bu durum onun kültürel ve akademik önemi açısından önemini ortaya çıkarmaktadır. Dünyada çok az sayıda edebi eser bu kadar çok dile çevrildiği için, bu manzume çeşitli disiplinler için önemli bir kaynak oluşturmaktadır. Bu çalışmada, Prof. Dr. Bilal Dindar ve Dr. Öğr. Üyesi Zeynelabidin Makas tarafından gerçekleştirilen Türkçe çeviri perspektifinde "dev" kavramının aktarımı ele alınmakta ve bu kavramın Türk edebiyatındaki kullanımlarıyla karşılaştırmalı analiz yapılacaktır. Çevirmenlerin "dev" kavramını aktarırken izledikleri yöntemsel yol, Türk halk mitolojisindeki tarihsel ve kültürel anlam karşılıklarını anlamlandırılmasına olanak sağlamaktadır. "Dev" kavramı, Türk edebiyatında sıklıkla karşılaşılan halk mitolojisi ile doğrudan bağlantılıdır. Bu kapsamda çalışma, iki farklı kültürde bu kavramın nasıl aktarıldığını; anlamının zaman, bağlam ve kültürel unsur çerçevesinde nasıl değişip farklı değerler kazandığını ortaya çıkarmayı hedeflemektedir. Eserde ele alınan örnekler aracılığıyla, "dev" kavramının *Kaplan Postlu Şövalye* manzumesinin Türkçe çevirisinde hangi eşdeğer kelimelerle ifade edildiği ve Türk edebiyatındaki sembolik ve anlamsal işlevi değerlendirilmektedir. Gürcü ansiklopedik sözlüğünde "dev" kavramı; boynuzlu, kullı ve çoğu zaman çok başlı yaratık şeklinde açıklanırken, Türk Dil Kurumu sözlüğünde ise "korkunç, çok iri ve olağanüstü güçlü masal yaratığı" şeklinde tanımlanmaktadır. Çalışmanın yöntemsel çerçevesini, *Kaplan Postlu Şövalye* manzumesinin kaynak metni ve hedef metnin derlem tabanlı karşılaştırmalı analizi oluşturmaktadır. Bu incelememize olanak hem kaynak metni hem de hedef metni karşılaştırmalı bir perspektiften incelememize olanak sağlamaktadır. Çalışma sürecinde, derlem tabanlı analiz yöntemi kullanılmakta olup, bu yöntem modern beşerî bilimlerde sıkça kullanılmakta ve büyük hacme sahip metinlerin hızlı ve verimli incelenmesine olanak tanımaktadır. Özellikle paralel derlem analizi kullanılarak, kaynak metin ve hedef metinler eş zamanlı olarak ele alınmış, böylece iki farklı kültür arasında anlamsal ve kavramsal yönde uyumun sağlanıp

¹ **Beyan (Tez/ Bildiri):** Bu çalışmanın hazırlanma sürecinde bilimsel ve etik ilkelere uyulduğu ve yararlanılan tüm çalışmaların kaynakçada belirtildiği beyan olunur.

Çıkar Çatışması: Çıkar çatışması beyan edilmemiştir.

Finansman: Bu araştırmayı desteklemek için dış fon kullanılmamıştır.

Telif Hakkı & Lisans: Yazarlar dergide yayınlanan çalışmalarının telif hakkına sahiptirler ve çalışmalarını CC BY-NC 4.0 lisansı altında yayımlanmaktadır.

Kaynak: Bu çalışmanın hazırlanma sürecinde bilimsel ve etik ilkelere uyulduğu ve yararlanılan tüm çalışmaların kaynakçada belirtildiği beyan olunur.

Benzerlik Raporu: Alındı – Turnitin / Oran: %4

Etik Şikayeti: editor@rumelide.com

Makale Türü: Araştırma makalesi, **Makale Kayıt Tarihi:** 14.05.2025-**Kabul Tarihi:** 23.06.2025-**Yayın Tarihi:**

24.06.2025; DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.15732781>

Hakem Değerlendirmesi: İki Dış Hakem / Çift Taraflı Körleme

² Dr., Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi, Beşerî Bilimler Fakültesi, Doğubilimcilik Bölümü / Dr., Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities, Department of Oriental Studies (Batumi, Gürcistan) **eposta:** nona.nikabadze@bsu.edu.ge **ORCID ID:** <https://orcid.org/0000-0002-5520-2860> **ROR ID:** <https://ror.org/0212gyx73> **ISNI:** 0000 0004 0397 090X

sağlanmadığı belirlenebilmiştir.

Anahtar kelimeler: Kaplan Postlu Şövalye, Şota Rustaveli, çeviri, dev, kırk

The Transfer of the Concept “Devi” (giant) in the Turkish Translation of „The Knight in the Panther’s Skin” and Its Comparison with the “Devi” (giant) Character in Turkish Literature³

Abstract

Shota Rustaveli’s poem *The Knight in the Panther’s Skin* is a medieval epic poem that contains lyrical passages. Its translation into 58 languages makes it a unique interdisciplinary resource for various academic fields worldwide, as only a few literary works in the world have been translated into so many languages. In the process of translation, the translator aims to culturally adapt the concept of the *devi* (giant) and to convey lexical units with maximum accuracy. In this study, we will examine the concept of the *devi* (giant) in the Turkish translations of *The Knight in the Panther’s Skin* by Bilal Dindar and Zeynelabidin Makas and compare this concept to its meanings and how it used in Turkish literature. The *devi* (giant) is primarily associated with a folkloric and mythological understanding, which is widespread in both Georgian and Turkish literature. It is of particular interest to explore how two different cultures interpret and convey this concept. Through specific examples, we will identify the equivalents of the *devi* (giant) in the Turkish translations of the poem and analyze its symbolic and semantic function within the context of Turkish literature. According to the Georgian encyclopedic dictionary, the mythological figure *devi* (giant) is described as a gigantic, horned, and hairy creature, often possessing several heads. In contrast, the Turkish Language Association’s dictionary defines the *devi* (giant) as a terrifying, extraordinarily powerful, and enormous mythical being (“korkunç, çok iri ve olağanüstü güçlü masal yaratığı”). The methodological framework of this study is based on corpus linguistic analysis of both the original text and its Turkish translations. This method allows for the efficient processing and analysis of large empirical material, significantly simplifying the research process. Corpus linguistics is one of the important research methods in linguistics, which allows for the processing of large volumes of material in a short time and the verification of research results. Among modern digital methods, we will also use the parallel corpus method, which allows us to compare the original and translated texts with each other and obtain the most accurate information possible, find and analyze the similarities and differences between two different cultures.

Keywords: The Knight in the Panther’s Skin, Shota Rustaveli, translation, devi (Giant), forty.

³ **Statement (Thesis / Paper):** It is declared that scientific and ethical principles were followed during the preparation process of this study and all the studies utilised are indicated in the bibliography.

Conflict of Interest: No conflict of interest is declared.

Funding: No external funding was used to support this research.

Copyright & Licence: The authors own the copyright of their work published in the journal and their work is published under the CC BY-NC 4.0 licence.

Source: It is declared that scientific and ethical principles were followed during the preparation of this study and all the studies used are stated in the bibliography.

Similarity Report: Received – Turnitin / Rate: %4

Ethics Complaint: editor@rumelide.com

Article Type: Research article, **Article Registration Date:** 14.05.2025-**Acceptance Date:** 23.06.2025-**Publication Date:** 24.06.2025; **DOI:** <https://doi.org/10.5281/zenodo.15732781>

Peer Review: Two External Referees / Double Blind

შესავალი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მე-12 საუკუნის უნიკალური პოემაა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც. პოემა 58 ენაზეა თარგმნილი და იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. XXI საუკუნე ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბური განვითარების ეპოქაა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი პერსპექტივები მისცა ქართველოლოგიურ და რუსთველოლოგიურ კვლევებს. „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტისა და მისი თარგმანების პარალელური კორპუსის შექმნის იდეამ და თანამედროვე მეთოდებით კვლევამ კი კიდევ უფრო აქტუალური გახადა დარგი. ჩვენი კვლევის საგანია კონცეპტი „დევი“ და მისი გადატანის საკითხი თურქულ თარგმანში, რომელიც ბილალ დინდარისა და ზეინელაზიდინ მაქასის მიერ 1992 წელსაა შესრულებული. კვლევის პროცესში გამოვიყენებთ ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდებს, რაც ვრცელი ემპირიული მასალის სწრაფ დამუშავებასა და ორიგინალი და თარგმნილი პარალელური ტექსტების ზუსტ კვლევაში დაგვეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-თურქული მთარგმნელობითი საქმიანობა აქტიურად გასული საუკუნის წინ დაიწყო, რომელიც ლიტერატურულ, ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ ჭრილში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-თურქული კულტურული და ლიტერატურული კავშირები შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს, იმდროინდელი თარგმანები ძირითადად რელიგიური ტექსტებით ან სამართლებრივი დოკუმენტებით შემოიფარგლებოდა და მას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი, რაც მე-20 საუკუნეში შეიცვალა. 1950-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე დაიწყო აქტიური მთარგმნელობითი პერიოდი, როგორც ქართულიდან, ასევე თურქულიდან.

საჭიროა ხაზი გავესვათ, რომ საქართველო მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სამშობლოა. დიდი ისტორია აქვს ქართულ ლიტერატურას, რომელიც საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელმაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მოახერხა შეენარჩუნებინა ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნის უდიდესი ლიტერატურული ტრადიცია (Öztürk, 2024, s. 561). ქართული სალიტერატურო ენა მრავალსაუკუნოვან და მდიდარ ისტორიულ ტრადიციებს ეფუძნება, რომლებიც უძველესი პერიოდიდან იღებს სათავეს, ხოლო ადრეული საუკუნეების ლიტერატურული ძეგლები მეხუთე საუკუნით თარიღდება (Öztürk, 2021, s. 53).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-თურქეთს დიდი ხნის ურთიერთობის ისტორია აქვს, ამ ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული კავშირები ახლო პერიოდიდან დაიწყო (Öztürk, 2024, s. 613). სასურველია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის მრავალსაუკუნოვანი კავშირი, ძირითადად ენობრივი ურთიერთობებისა და ერთმანეთის ენების შესწავლის გზით ხდებოდა. აღნიშნული საკითხი, აქტუალობას არ კარგავს არც დღეს და ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს (Öztürk, 2022, s. 613). ვინაიდან, თურქეთსა და საქართველოს, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების გარდა, მჭიდრო ლიტერატურული კავშირებიც აქვს, ორივე რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ლიტერატურის შესწავლა. ეს ხელს უწყობს ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების კვლევას სამეცნიერო კონტექსტში, რასაც დიდი წვლილი შეაქვს რეგიონალური ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (Öztürk, Telci, 2021, გვ. 273).

რაც შეეხება ჩვენს საკვლევ მასალას, ეს ბილალ დინდარისა და ზეინელაზიდინ მაქასის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანია, რომელიც პოემის თურქული

თარგმანების ერთადერთი სრული ვერსიაა და შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა. აღსანიშნავია, რომ „თარგმანი, რომელიც ლიტერატურის უნივერსალურ ენად ითვლება, სხვადასხვა კულტურას შორის კავშირს ამყარებს და ადამიანებს საშუალებას აძლევს, გაიზიარონ საერთო ღირებულებები“ (Öztürk, 2024, s. 245). თავისთავად თარგმანი კი საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც არამხოლოდ ენასა და კულტურასთანაა მჭიდრო კავშირში, არამედ დაკავშირებულია სხვადასხვა დისციპლინასთანაც (Öztürk, 2023, s. 658).

დისკუსია, კვლევა

აღნიშნულ ნაშრომში წარმოგიდგენთ კონცეპტ „დევის“ კვლევას ორიგინალ და თარგმნილ ტექსტებში. „დევი“, როგორც ქართულ, ასევე თურქულ მითოლოგიასა და ფოლკლორულ ლიტერატურაში გავრცელებული კონცეპტია, მისი სიღრმისეული გააზრება, კვლევა და სიმბოლური დანიშნულება პოემასა და მის თარგმნილ ტექსტში საინტერესო და მნიშვნელოვან კვლევის საკითხად მიგვაჩნია. კვლევის პროცესში ნაწილობრივ შევხებით სუფიზმის ენას და დევებთან დაკავშირებული მეტაფორული კონტექსტების სუფიურ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ასპექტში ორ ლიტერატურას შორის საინტერესო დინამიკა გამოვიკვეთა. კორპუს ლინგვისტური კვლევის საფუძველზე, დადგინდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალ ტექსტში „დევი“ შვიდჯერაა ნახსენები, ხოლო თურქულ თარგმანში თერთმეტჯერ.

„დევი“, როგორც ქართულ, ასევე თურქულ ფოლკლორსა და მითოლოგიაში გავრცელებული პერსონაჟია, რომელიც ძირითადად უარყოფითი კონოტაციის გამომხატველია და ბოროტთან ასოცირდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ და თურქულ ფოლკლორულ ნიმუშებში „კეთილი დევების“ არსებობაც ივარაუდება, მაგრამ ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანს დღეს არ წარმოადგენს (Bak.: (იბ.:) Bahadur, Yeliz, Türk Dünyası Masallarında İyi Huylu Devler ve Fonksiyonları, Uluslararası Uygur Araştırmaları Dergisi, Sayı: 2019/14, s. 121-134).

„დევების“ შესახებ ქართველი მკვლევრების სხვადასხვა შეხედულებას ვხვდებით. „დევის“ განმარტება გვხვდება სულხან-საბასთან: „დევი სომხურად ემმასა ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი გველშაპის ადგილას აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი საწარმართო აღუწერიათ ავ-სახე კაცის მსგავსი, რქინიანი. იგი მოგონებული ტყვილია (Sulkhan Saba, 1949, s. 164). სულხან-საბას ცნობით „დევი“ ძველისძველი სახელია და შესაძლებლად მიიჩნევენ მის მითიურ წარმოშობას, მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის წინაქრისტიანულ სარწმუნოებასა და ქართულ ლიტერატურაში მისი დამკვიდრების შესახებ. განმარტების ბოლოს კი, მისი თქმით ეს არარეალური, მოგონილი პერსონაჟია.

აპოლონ ცანავა თავის ნაშრომში „ქართული მითოლოგია“ დევის გარეგნობას შემდეგნაირად აღწერს: „...დევი არის ახოვანი, ტანი ხშირი ბალნით აქვს შემოსილი, დღე იმალება და ღამით გამოდის სანადიროდ...დევი კაცს ჰგავს სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსია, წელს ზევით ღორივით ჯაგარი ასხია...როგორც ფშაველები ამბობენ „დევებს კოჭ უკულმ აქვისო“ - ეს იმას ნიშნავს, რომ დევს ორივე ფეხი შებრუნებული აქვს. კოჭი მოქცეულია წინ, ხოლო ფეხის წვერი თითებით უკანა მხარესა“ (Tsanava, 1992, s. 6).

ხვედელიანის მიხედვით: „დევები და ქაჯები ქართული ფოლკლორის ყველაზე გამორჩეული და პოპულარული არსებები არიან, რომელთა სახეშიც კონცენტრირდა ყველა ის თვისება, რაც ნებისმიერ დროსა და ეპოქაში დასაგმოი და მიუღებელი იყო, ამიტომაც...ბოროტების სიმბოლოდ ჩამოყალიბდნენ“ (Khvedeliani, 2016, s. 242).

აღსანიშნავია, რომ დევი, როგორც უარყოფითი, ბოროტი ძალის კონოტაცია სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც აისახა. დევი მოიხსენიება ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე, უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლში „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, როცა დედოფალი ვარსკენს მიმართავს: „მამამან შენმან წმინდანი შემოიხვნა სახით თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ“ (Khutsesi, 20217, s. 3). შუშანიკი აღნიშნავს, რომ მისი ქმარი ბოროტების თანამოაზრეა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დევები აქ სარწმუნოების ზოგად მნიშვნელობას აღნიშნავს და არა მითოსურ დევებს.

ჩვენი კვლევის მიხედვით, დევი ქართულ მითოლოგიაში ღვთიურს დამორებულია, ბოროტ არსებად მოიაზრება და მას კონკრეტული სახე არ გააჩნია, იმავდროულად ის მრავალსახოვანია, ისევე როგორც მრავალფეროვანია ბოროტება დედამიწაზე. დევის გარეგნობა კონკრეტულ ჩარჩოებში არაა მოქცეული, ძირითადად ადამიანური თვისებები აქვს, თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავიც არაა. აღსანიშნავია, რომ რაოდენ გიგანტურიც არ უნდა იყოს დევი, უძლეველი მაინც არაა, ადამიანს მისი მოხერხებულობით და ცოდნით შეუძლია სძლიოს მას, როგორც ბოროტ ძალას.

საინტერესოა „დევების“ არსებობა „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენი მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ „დევი“ მისი ტრადიციული გაგებისა და ფუნქციისგან განსხვავდება და უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ დევებისა და ქაჯების საკითხს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრულ პერსონაჟებს, შეეხო ენათმეცნიერი შ. ჩიჯავაძე. მისი აზრით, ეს პერსონაჟები ზღაპრული არსებები კი არ არიან ამ ნაწარმოების მიხედვით, არამედ რეალურად არსებული ტომისა თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა შთამომავალნი დღემდე ცხოვრობენ სამხრეთის ქვეყნებში (Chijavadze, 1963, s. 3).

უარყოფითი სემანტიკის შემცველია დევი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალ ტექსტშიც, სადაც შვიდჯერ დასტურდება:

3.98.2 „აგრე კვალ-წმიდად წარხდომა | კაცისა, ვითა დევისა“

3.98 Sanki bir dev imiş o, çıkmış imiş engin çöle

28.655.1 „დევთა ყვირილი, ზახილი | ზეცამდის აიწეოდა“

28.655 Dev na'rası dehşet ile yükseliyordu göklere

28.654.1 ესე ქვაბნი უკაცურნი | ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს

28.654 Issız mağaralara girip, gittim devler menziline

29.690.1 "ქვაბნი ომითა წაუხმან, | სახლად აქვს დევთა სახლები

29.690 O, çarpışarak devlerden aldığı mağarada kalıyor

40.998.1 ქვაბნი წაუხმან დევთათვის, | სრულად გაჰმესისხლებია

40.998 O, hayli kan dökerek, devlerden bir mağara almış

52.1364.3 მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, | დავხოცე დევთა დასები

52.1365 Yığınla dev öldürmüşüm, bu mağaraya geldiğim. günden.

52.1368.3 თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, | იყოს დღე იგი ძნელიო!

52.1369 Devler peren perene düşer, şâyet hücum etse Gaclar

აღსანიშნავია, რომ წყარო და სამიზნე ტექსტების შედარებისას, მთარგმნელმა სამიზნე ენის მკითხველის ცოდნა გაითვალისწინა და ორიგინალი ტექსტის ერთგული დარჩა (Öztürk, 2022, s. 752).

რაც შეეხება თურქულ თარგმანს, თარგმანში კონცეპტი „დევი“ თერთმეტჯერ დასტურდება. ორიგინალ ტექსტში ზემოთ წარმოდგენილი შვიდი ტაეპის გარდა „დევი“ ქვემოთ მოცემულ ოთხ ტაეპშიც გვხვდება:

51.1364. O devlerin altın ve gümüşleri burada olmalıdır.

52.1364. მას აქათ მათი აქა ძეს | საჭურჭლე ძვირ-ნაფასები.

51.1366. Devlerin meskeni mağaraya gelin birlikte bakalım.

52.1365. მოდი და გავხსნათ, შევიგნეთ, | საჭურჭლე თუ რა ზომია".

51.1368. Silâh deposu yapmışlardı devler büyük bir odayı.

52.1367. პოვეს ერთი ზარადხანა, | აბჯრისათვის სახლად ქმნილი;

6.192. Onu bir dev zannedenler, şüphe yok ki, haklıdır,

6.192. უღონოდ მართალ იყვნეს, | რომელთაცა ქაჯად თქვიან.

ორიგინალ ტექსტის 52.1364 ტაეპში „მათი“, „დევების“ აღმნიშვნელი კუთვნილებითი ნაცვალსახელია და თარგმნილ ტექსტში გადატანილია „დევების“ სახით. რაც შეეხება წყარო ტექსტის 52.1365 ტაეპს, თურქულ თარგმანში „დევების საცხოვრებელი“ დამატებულია, წყარო ტექსტში საუბარი აზრობრივად გამოქვაბულის გახსნასა და შესვლაზეა, მაგრამ დაკონკრეტებული არაა, როგორც „დევების სამყოფელი/საცხოვრებელი“, ასეთივე შემთხვევა გვაქვს ორიგინალი ტექსტის 52.1367 ტაეპშიც, თურქულ თარგმანში ლექსეკური ერთეული „დევები“ დამატებულია, ორიგინალ ტაეპში დევები აზრობრივად არაა მოხსენიებული, საუბარია ზოგადად ზარდახნისა და აბჯრის შესანახ ადგილზე. რაც შეეხება 6.192 ტაეპს, წყარო ტექსტში არსებული „ქაჯი“ თურქულად თარგმნილია, როგორც „დევი“. თუმცა აღსანიშნავია, რომ ანთროპომორფული არსება „ქაჯი“ მიუხედავად იმისა, რომ „დევის“ ზოგ საერთო თვისებას იზიარებს, ერთი და იგივე არსება არაა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ შესაძლოა მთარგმნელს სათანადო ფონური ცოდნა არ აქვს და ამ ორ ანთროპომორფულ არსებას შორის განსხვავება არ იცის. თუ თურქულ თარგმანში დევი და ქაჯი გაიგივებულია ერთმანეთთან, ქართულ ლიტერატურაში ეს ორი კონცეპტი ერთმანეთისგან გამიჯნულია. ამას ადასტურებს ზემოთ მოცემული ტაეპებიც, „ვეფხისტყაოსანში“ დევების გამოქვაბულში ნაპოვნი საბრძოლო აღჭურვილობა ქაჯებთან ომისთვისაა განკუთვნილი. აზრის გასამყარებლად, მოვიყვანთ ხვედელიანის მოსაზრებას ქაჯებისა და დევების შესახებ, რაც მათ განსხვავებას უსვამს ხაზს: „მიუხედავად ადამიანთან გარეგნული მსგავსებისა, დევი განვითარების ცხოველურ სტადიაზე დარჩა. ფიზიკურად ძლიერი, გონებრივად ბრიყვი, ბუნებით მავნე და

ბოროტი მხოლოდ ძალადობრივი აქტის შემსრულებლად დაიტოვა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ. რაც შეეხება ქაჯს, ქართველი ხალხის ფანტაზიამ მას გარკვეულწილად გონიერება დაანათლა და ძირითადად ამით განასხვავა იგი ბრიყვი, თავდაჯერებული და გულუბრყვილო დევისგან, რომლის სახეშიც თავმოყრილი იყო ყველა ის ხინჯი და ნაკლი, რასაც ყოველთვის გასაკიცხ-ადმოსაფხვრელად მიიჩნევდნენ“ (Khvedeliani, 2016, s. 243). „ხალხის ფანტაზიამ ქაჯებისთვის გონიერება გაიმეტა, რითიც განასხვავა კიდეც დევთაგან. ქაჯებში დიდი სიბრძნეა დაუნჯებული, რაც, რასაკვირველია, მათი გრძნეულებით აიხსნება“ (Khvedeliani, 2016, s. 247).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დევი“ უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ მითოლოგიურ-ფოლკლორული პერსონაჟად გააზრება. საინტერესოა ეს პერსონაჟი ფიზიკურად მართლა არსებობს თუ არა „ვეფხისტყაოსანში“?

მიუხედავად იმისა, რომ დევებს დიდი განძი და იარაღი აქვთ, „დევთა დასების დახოცვა“ ისე გადმოსცა ტარიელმა, თითქოს დევებთან შეჯახების სირთულესა და ბრძოლაზე არ საუბრობს, ერთ-ერთ ტაეპის მიხედვით, მას ას დევთან ჰქონდა ბრძოლა და ყველა გაანადგურა.

28.655 ასი ერთ კერძოთ მომიხდეს, | დავფრიწე, დაიხეოდა.

28.655 Yüzü birden hücum ediyordu, kırdım hepsini döve döve.

მის ნათქვამს ამყარებს სხვა სტროფებშიც, ერთ-ერთ ტაეპში ამბობს:

52.1364 მე ოდეს ქვაბნი წავუხვენი, | დავხოცე დევთა დასები

52.1365 Yığınla dev öldürmüşüm, bu mağaraya geldiğim günden.

დევები ყვირიან, დევთა დასი ანუ დევთა ჯგუფი ტარიელს ყვირილით შეხვდა, თუმცა არ იყენებენ იარაღს, რომელიც მრავლად აქვთ. კიდობანში, სადაც მოთავსებულია აბჯარი, არ უნდა გაიხსნას მანამდე, სანამ დევების და ქაჯების შებრძოლება არ მოხდება, უდროოდ ვინც კიდობანს გახსნის, ის მეფეთა მკვლეელია. ამის შესახებ ვგებულობთ შემდეგ ტაეპებში:

52.1368 თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, | იყოს დღე იგი ძნელიო!

უმისჯამისოდ ვინც გაჰხსნის, | არის მეფეთა მკვლეელიო".

51.1369 Devler peren perene düşer, şâyet hücum etse Gaclar.

Bu kapağı önce açan bir padişahı bile yener.

აღსანიშნავია, რომ ორიგინალი ტექსტი არასწორადაა გაგებული და თარგმნილი. ორიგინალი ტაეპის მიხედვით კიდობანი არ უნდა გაიხსნას დევებისა და ქაჯების ბრძოლამდე, ვინც კიდობანს უდროოდ გახსნის მეფეთა მკვლეელია. თურქულ თარგმანში კი თითქოს ქაჯები ცუდ მდგომარეობაში ჩაყრიან დევებს და კიდობანს ვინც გახსნის მეფესაც ის დაამარცხებს, რაც სრულიად განსხვავდება ორიგინალი ტექსტისგან, არასწორი თარგმანის გამო კი ორიგინალი ტექსტის კოჰერენტულობა ირღვევა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კიდობანში არსებული აბჯარი დევების შესაფერისი კი არაა, არამედ სამი გმირის. საინტერესოა რატომ არ გამოიყენეს იარაღი დევებმა ტარიელის წინააღმდეგ და

ამოაჟღერებს თავი? ზღაპრებსა და ხალხურ ფოლკლორში დევებთან შებრძოლების უამრავი ნიმუში გვხვდება, შედარებისას ვხვდებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დევებს ისინი არ ჰგვანან, შესაძლებელია პოემაში არც არიან ზღაპრული პერსონაჟები. დევების სიმდიდრე რატომაც საომარი აზარი? რომელიც ზუსტად სამი გმირის ზომა იყო. „კიდობნის გახსნა“ დიდი ალბათობით „ჭეშმარიტების ან ცოდნის შეცნობაა“. დევების გამოქვაბულს, რომელსაც ორმოცი კარი აქვს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ზეციურ სიბრძნესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დევების ამოხოცვით და იქ ადამიანების დამკვიდრებით ეს ადგილი მეგობრობის და სიკეთის ადგილად იქცევა. ჩვენი აზრით, შოთა რუსთაველი, რომელიც სხვადასხვა ფილოსოფოსთან მოძღვრებებით იყო განსწავლული, პოემაში ზღაპრულ ელემენტებს არ დაუშვებდა. ჩვენი მოსაზრება გვინდა გამსახურდიას არგუმენტით გავამყაროთ: „ტარიელი მკვიდრობს ქვაბში, რაც სიმბოლოა მისტიური ჩაღრმავებისა, ცნობიერების სიღრმისა. მას აცვია ვეფხის ტყავი, სიმბოლოა მისი სულიერი ძალმოსილებისა, ქვენა ბუნებაზე გამარჯვებისა, აგრეთვე ფირმამენტუმის მადლისა და ძალისა. ეს ქვაბი მან დევებს გამოსტაცა, რომელნიც ამოწყვიტა, აქვე იპოვნა საუნჯე და საჭურველი, რომლის საცავსაც ორმოცი კარი ჰქონდა (საკრალური რიცხვი, სიმბოლო სივრცულ სამყაროში განწყობისა), საუნჯე საყოველთაოდ გავრცელებული სიმბოლოა მისტერიალური სიბრძნისა და დასავლურ რაინდულ სახისმეტყველებაში გრაალს შეესაბამება“ (Gamsakhurdia, 1991, s. 175). გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ ასევე აღნიშნავს, რომ ტარიელის მიერ დევების განძის ხელში ჩაგდება მისი სიხარბის ან მომხვეჭელობის ქმედება კი არა სულიერი მიზნის მიღწევა, სულიერი საუნჯის დაუფლება (Gamsakhurdia, 1991, s. 179).

ზოგადად, მთლიანი „ვეფხისტყაოსანი“ საღვრთო სიყვარულის შეცნობაა, მისი მიზანი საღვრთო სიბრძნესთან შერწყმა:

32.790 „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“

32.790 İlim Hakk’a kavuşmaktır, padişahım, iyi bakın.

„მეფეთა შიგან“ საგანძური და სიუხვე, მათი სულიერი სიმდიდრეა, საღვრთო სიტყვის მფლობელობა და არა სამეფო საგანძური. „ედემს რგული ალვა“ სამოთხეა,

1.50 „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია“

1.50 Cömertlik şahlar için cennetteki tuba ağacı

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება სუფიზმის ენა, რაც იმ ეპოქაში გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რუსთაველი სწორედ ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ ცოდნას ეყრდნობა. ყურადღებას გავამახვილებთ მომდევნო ტაეპზე, იმის დასტურად, რომ კიდობანს, საჭურჭლეს, დევებთან ბრძოლას სიმბოლური დანიშნულება აქვს პოემაში და თითქმის ყველგან ღვთის სახეს ვხვდებით, რომელთან შერწყმაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მთავარი მოტივია:

52.1366 „ჰპოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა“

51.1367 Henüz kimse görmemişti bunca malı bir arada.

ორიგინალ ტექსტში გამოყენებული ცნება „უსახო“ ღმერთთან მიმართებაა, რადგან თავად უფალი „უსახოა“. უსახო-ი - სახის არ მქონე, გამოუსახველი; „ღმერთი რამეთუ ვითარ სხეულენ იყოს განუზომელი და განუსაზღვრებელი და უსახო და შეუხებელი? (დამასკ., გარდ., 39, არს.); –

ἀνείμειος – [კეთილი და სახიერება] არს სახე-მყოფელი უსახოთადცა (არეოპ., სადმრ., ეგრ., 4.18); სახე სახე-მყოფელ უსახოთა შორის, ვითარცა სახეთ-მთავარი, ხოლო უსახო სახეთა შორის, ვითარცა ზემთასახეთად (არეოპ., სადმრ., ეგრ., 2.10)“ (Melikishvili, 2010, s. 238). ღმერთის მსგავს აღქმას ვხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურაშიც, ნოღაურ მითოლოგიაში, ისევე როგორც ძველ თურქულ წარმოდგენებში, სამყაროს უზენაესი ღვთაება ღმერთი თანგრია. ნუგზარ ანთელავას ნაშრომში „კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“ ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „ყოვლისმხედველი და ყოველგან მყოფი უსახო თანგრი ცასთან იყო გაიგივებული“ (Antelava, 2017, s. 60). აღსანიშნავია, რომ ინდუიზმში ცნობილი ღმერთი შივაც „უსახოა“, „დიდი ღმერთი, უსახო და უსახელო ღვთაების ერთ-ერთი სახე“ (Kiknadze, Tonia, 2006, s. 130). შესაბამისად, 52.1366 სტროფშიც საუბარი უნდა იყოს ღვთის საგანძურზე, შეუცნობელ საღვრთო სიყვარულზე, რომლის შეცნობაც კიდობნის გახსნილთა შესაძლებელი და კიდობანს სიმბოლური დანიშნულება აქვს ღვთიური შეცნობის გზაზე.

ასევე, ორიგინალი ტექსტის მიხედვით, როცა კიდობანი გახსნეს, იქ ნაპოვნი აბჯრით სამივე გმირი შეიმოსა, მაგრამ ფრიდონი იქ არ იმყოფება, როგორ შეიმოსა ფრიდონი? „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები ხორციელი არსებები არ არიან, საღვრთო სიტყვის სიმბოლო არიან.

52.1369 „კიდობანი გახსნეს, პოეს მუნ აბჯარი სამი ტანი,

რასაც ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი“

51.1370 Sandıkta üç kişiye yetecek silâh buldu onlar.

Üç yenilmez kahramana lâzım olan her ne ki var:

ასევე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ გმირებს დევების დაცულ საგანძურში ნაპოვნი სამი აბჯარი, ღვთის წყალობად მიაჩნიათ. ამბობენ:

52.1371 „ესე ნიშნად გვეყოფის, კართო კარგისა ბედიტა,

ღმერთმან მოგვხედნა თვალიტა, ზეგარდმო მონახედიტა“.

51.1372 Bu, mutluluk müjdesidir, dediler onlar buna.

Kendi lütfünü Allah esirgemedi biz kullarına.

თამარ ხვედელიანის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ დევები ემიჯნებიან ფოლკლორულ არქეტიპს, დაცლილი არიან დემონური თვისებებისგან, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ „მთავარი ფუნქცია - განძის მცველობა. მოუხმარებელი, გამოუყენებელი სიმდიდრე თავადაა ბოროტება, მისი მცველები კი ბოროტების მსახურნი“ არიან (Khvedeliani, 2016, s. 254).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევების მიხედვით, ქართველი მკვლევრები შალვა ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, შალვა ხიდაშელი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ იდეად „კეთილის მიერ ბოროტის ძლევა“ მიიჩნევენ. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა „ქვეყნიერების ღვთიური სრულყოფისკენ სწრაფვაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ზღაპრულ პერსონაჟებს სრულიად განსხვავებული დატვირთვა აქვს. სიკეთის გამარჯვებისთვის მებრძოლი გმირის დამაბრკოლებელი ფოლკლორული დევი და ქაჯია. მასში კონცენტრირებულია უარყოფითი

თვისებები, რაც ყოველთვის მიუღებელი იყო ჭეშმარიტების ძიებაში ჩაფლული ადამიანებისთვის. ამიტომ თავიდანვე დაიმკვიდრეს სიკეთის, საპირისპირო მნიშვნელობა და ბოროტების სიმბოლოდ ჩამოყალიბდნენ. ეს ბოროტი ბუნება აისახა მათ გარეგნობაზე, დევებს „კოჭ უკუღმა აქვთ“ დიდი ფიზიკური ძალის, მრისხანე და აგრესიულები არიან, სიყვარულს, სიკეთეს მოკლებული, ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ, ქართულ ფოლკლორში დევთა სამყოფელი მხოლოდ ძალადობრივი აქტის შემსრულებლად დატოვა. ეს განძი მხოლოდ რჩეულთათვისაა განკუთვნილი. დევთა მთავარი ფუნქცია ამ საგანძურის დაცვა-პატრონობაა, მხოლოდ ეს შეუძლიათ, რადგან სხვა ვერაფერში იყენებენ, რომელიც მიუვალ გამოქვაბულებში აქვთ გადამალული, მათი ქვეცნობიერი, უმოქმედო ლოდინი, ბადებს ამ „განძის“ ცოდნის მომპოვებელი გმირის გამოჩენის აუცილებლობას, რომელიც იბრძვის სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისთვის.

ეს ლოდინი გმირის გამოჩენით სრულდება, რომელიც ბოროტებას ამარცხებს, დაფარული, მიუწვდომელი, გამოუყენებელი ცოდნის სახით, რომელსაც ეპატრონება. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ქაჯეთის ციხის აღებაში დევების საგანძურში აღმოჩენილი აბჯარ იარაღი დაეხმარათ, ანუ ის „დაფარული ცოდნა“, რომელიც კიდობნის გახსნის დროს შეიმეცნეს.

რაც შეეხება თურქულ ლიტერატურას, „დევი“ ხშირად გვხვდება თურქულ ეპოსებსა და ხალხურ ლიტერატურაში. დევებზე ინფორმაციას ვხვდებით თურქულენოვანი ხალხის სხვადასხვა ეპოსში, როგორებიცაა: Oğuz-nâme (ოღუზნამე), dede korkut (დედე ქორქუთ), Cengiznâme (ჯენგიზნამე), Saltuknâme (სალთუქნამე), Karacay-Malkar Türklerinin (ყარაჩაი-ბალყარების მონათესავე თურქულენოვანი ხალხის) ნართულ ეპოსში, Altay Destanlarından (ალთაურ ეპოსში), ყივჩაღებისა და კავკასიაში მცხოვრები თურქულენოვან ტომების სხვადასხვა ხალხურ ლიტერატურაში და სხვ. თურქულ ლიტერატურაში გავრცელებული დევის პერსონაჟი ადამიანით ცხოვრობს, აქვს სქესი, არსებობს მამაკაცი და ქალი დევი. ქალი დევები თურქული ეპოსის მრავალფეროვნებას უსვამს ხაზს. ეპოსებში ქალი დევები ადამიანებზე ქორწინდებიან, ან ადამიანებს ჰყავთ ქალი დევების მიერ აღზრდილი შვილები. ისინიც მამაკაცი დევებივით ბოროტები არიან, საკუთარი შვილების ჰამაც კი შეუძლიათ.

თურქული ენის ლექსიკონში დევი განმარტებულია, შემდეგნაირად: უზარმაზარი, დივი (სპარსული არის.) საშინელი, ძალიან დიდი და არარეალურად ძლიერი ზღაპრული არსება; ზებუნებრივი ზომის; ეშმაკი, ჯინი, დემონი. იგი ასევე გამოიყენება მეტაფორულად ძალიან დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი მნიშვნელობით. ზოროასტრიზმში ბოროტ სულებს დევს უწოდებენ (TDEA, 2001, s. 274-275). ლექსიკური ერთეულის „დევი“-ს შესახებ ლექსიკონებში, ენციკლოპედიებსა და წიგნებში მნიშვნელოვან განმარტებებს ვხვდებით. თანამედროვე თურქულში „დევი“ - dev-ადაა წარმოდგენილი, თურქული დიალექტების შედარებით ლექსიკონში: div აზერბაიჯანულ თურქულში, däv ყაზახურ თურქულში, dñ ყირგიზულ თურქულში, dev უზბეკურ თურქულში, diyü თათრულ თურქულში, dōv თურქმენულ თურქულში და deva უიღურულ თურქულში (Ercilasun, 1991, s. 168-169).

დევები ცხოვრობენ ხალხისგან შორს, ტყეებში, კავკასიონის მთებში, წყაროს წყლებში, მდინარეებში, ტბებსა და სხვადასხვა წყლის ნაპირებზე, გამოქვაბულებში, საკუთარ სასახლეებში ან დიდ სახლებში (Şahin, 2020, s. 17). ადგილები, სადაც მითიური არსებები დევები ცხოვრობენ, უჩვეულოა. დიდი ოთხკუთხა შესანიშნავი სასახლეები, მაღალი და მიუწვდომელი კლდეები, ოქროსგან აშენებული ქალაქები და ოქროსა და ვერცხლის სასახლეები. ერთ-ერთ ზღაპარში დევების სამყოფელის შესახებ გვხვდება შემდეგი ინფორმაცია: „ჰა, რომელიც სინამდვილეში დიდი ქალაქია, აქაური სახლების კარების სახელურებიც კი ოქროსია... როცა ერთი სახლის კარს აღებენ და შედიან, ხედავენ, რომ ის სავსეა ოქროთი, ხოლო მეორე სახლის შიგნით სავსეა საყოფაცხოვრებო ნივთები... ეს არის დევების

სამყოფელი. თვრამეტი არიან. თითოეულ მათგანს 1160 ჯარისკაცი ჰყავს“ (Sümbüllü, 2000, s. 192).

ეპოსის გმირებს ხანდახან დევები იჭერენ, მაგრამ მათი ინტელექტის წყალობით ისინი გონებრივად განუვითარებელი დევებს ხელიდან უსხლტებიან. ზღაპრის გმირები ხშირად მიდიან დევების ქვეყანაში კავკასიონის მთის მიღმა ან ნახევარი კილომეტრის სიღრმე ჭეხვის ქვეშ, რათა გადაარჩინონ დევების მიერ გატაცებული საყვარელი ადამიანები და ჩაერთონ მათთან ბრძოლაში. დევების აქვთ გარკვეული ფუნქციები ეპიკური გმირის მიმართ. ესენია: 1) იმის ჩვენება, რომ გმირი ფიზიკურად ძლიერია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დევები ძალიან დიდი და ძლიერი არსებები არიან, ეპიკური გმირი მათ ფიზიკურად მაინც ამარცხებს. 2) იმის ჩვენება, რომ გმირი მამაცი და გულადია, რადგან ეპიკური გმირი უშიშრად უპირისპირდება და ამარცხებს მასზე მრავალჯერ დიდ, სასტიკ და კაცობრიობისადმი მტრულად განწყობილ არსებას. 3) იმის ჩვენება, თუ რამდენად ჭკვიანია ეპიკური გმირი, რადგან გმირები დევებს ამარცხებენ არა ფიზიკური ძალით, არამედ გონებით, რაც მთავარი გმირის გამჭრიახობაზე მიუთითებს. გმირი, რომელმაც აჩვენა თავისი ძალა, გამბედაობა და გონიერება დევების დამარცხებით, ამით ასრულებს თავის დანიშნულებას. ამიტომ, დევებს ეპოსებში მნიშვნელოვანი როლი აქვთ, სწორედ ამიტომ ხშირად ჩნდებიან ეპიკური გმირის ინიციატორი. დევების ფუნქცია თურქულ ეპოსებში არის იმის გამოვლენა, თუ რამდენად ჭკვიანი, მამაცი და ძლიერია ეპიკური გმირი. მთავარმა გმირმა მიზნის მისაღწევად ბევრი რთული წინააღმდეგობა უნდა გადალახოს. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლება არის უზარმაზარი დევების დამარცხება. გმირი, ამარცხებს მითითურ პერსონაჟს, რომელიც არის დიდი, ძლიერი, დაუნდობელი, იკვებება ადამიანის ხორციით და ზოგადად ბოროტია. მიუხედავად მათი უზარმაზარი გარეგნობისა და საშინელი თვისებებისა, თურქული მითოლოგიის მიხედვით დევები სინამდვილეში სუსტი არსებები არიან. ეს სისუსტე გამოიხატება, როგორც ფიზიკურად, ასევე ხასიათისა და ინტელექტის თვალსაზრისით, რაც რეალურად უპირატესობაა ეპიკური გმირისთვის, რომელმაც უნდა დაამარცხოვოს ის. თითქმის ყველა ეპოსში დევები კვდებიან ეპიკური გმირის გონებამახვილობით, რადგან ისინი დაბალი ინტელექტის მქონე არსებები არიან. მათ არ აქვთ გამძლეობა მჭექარე ხმების მიმართ, რომლის შემდეგაც გული მისდით, ცალთვალა დევებს გმირები ერთი დარტყმით კლავენ, სწორედ ამიტომ მთავარი გმირები ამარცხებენ მათზე ბევრად ძლიერ დევებს. „ვეფხისტყაოსანშიც“ პოემის მთავარი გმირი ტარიელი „დევთა დასების დახოცვა“-ს ისე გადმოგვცემს, თითქოს ძალიან მარტივი საქმე ყოფილიყო.

დევების სამყოფელთან დაკავშირებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ორიგინალ ტექსტში „კარი ორმოცი“, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, თურქულ ლიტერატურაშიც მნიშვნელოვან სიმბოლურ რიცხვს წარმოადგენს. თურქულ ზღაპრებში, სადაც ხშირად გვხვება ინფორმაცია ქვესკნელზე, გავრცელებული სიმბოლური ელემენტი მეორმოცე ოთახია (Kırkinci oda).

52.1365 დალეწეს კარი ორმოცი, | მათგან არ ზედა ომია.

51.1366 Kırk mağaraya girdiler, kırk kapıdan atlayarak.

თურქულ ლიტერატურაში ქვესკნელს ჰყავს ზებუნებრივი არსებები და მფარველები. ქვესკნელის მცველები ან იდუმალი საგანძურის დარაჯები. ეს მცველები გვევლინებიან ძაღლის, გველის ან დევის სახით (Şimşek, 2001, s. 135). მეორმოცე ოთახში საფლავი სიმბოლურად წარმოადგენს გულის საგანძურის ოთახს, რომლის კარიც არ იხსნება. ღრმა ადგილი, რომელსაც აქვს საწყისის, ხელმეორედ დაბადების ფუნქცია, გმირის "მეორმოცე კარი" ხდება. გმირი, რომელიც ამ კარიდან გამოდის, ახალ სამყაროში იბადება...(Doğan, 2008, s. 86). გმირები, რომლებსაც უნდათ გაიგონ რა არის მეორმოცე ოთახში, სინამდვილეში საკუთარ თავში დამალული საგანძურის აღმოჩენის/შეცნობის გზას

დაადგენ. ის, ვინც საფრთხეს გაბედულად უპირისპირდება და მეორმოცე ოთახს ეძებს, ხვდება გაუცნობიერებელ სივრცეში, სადაც სიკვდილს და ხელახლა დაბადებას განიცდის. საყურადღებო და საინტერესოა ეს მონაკვეთი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ გამსახურდიას „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები რიცხვი ორმოცი „სივრცული სამყაროს განწყობის საკრალურ რიცხვად, სიმბოლოდ მიაჩნია“ (Gamsakhurdia, 1991, s. 175). ჩვენ შევადარეთ დევების მონაკვეთი, სადაც ორმოცი კარის გადალახვაზე საუბარი, ერთმანეთს შევადარეთ ორიგინალი და თარგმნილი ტაყები, რომლებიც ერთმანეთის ეკვივალენტია, მისი ღრმა ანალიზით კი მივედით დასკვნამდე, რომ მიუხედავად ორი განსხვავებული კულტურისა და ენობრივი სურათისა, ქართულ და თურქულ ლიტერატურასა და შესაბამისად ცნობიერებაში, რიცხვი ორმოცი საკრალურია, რომლის სიმბოლური მნიშვნელობა შემთხვევითობა არაა პოემაში, ეს დასკვნა კი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

ასევე აღსანიშნავია, რომ თურქულ ლიტერატურაში რიცხვი ორმოცის სიმბოლიკა და საკრალურობა მხოლოდ მითოლოგიასა და ეპოსებში არ გვხვდება. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის ეპოქაში, აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სუფიური, მისტიური სწავლება, მისი გავლენა კი აისახა, როგორც თურქულ ასევე სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ შედეგში. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ და სუფიზმის კავშირის შესახებ არაერთ ქართველ მკვლევარს აქვს ნაშრომი, ჩვენი კვლევა კი ამ კავშირის შესახებ მოსაზრებას ამყარებს. საკრალური რიცხვი ორმოცი გარდა თურქული ფოლკლორული ლიტერატურისა გვხვდება კლასიკურ ლიტერატურაშიც, კერძოდ კი სუფიზმში. სუფიური სწავლება - „ოთხი კარიბჭე ორმოცი საფეხური“ აღწერს ადამიანის სულიერი განვითარების გზას, რომელიც თვითშემეცნების და სულიერი სიმწიფის ხანგრძლივ სვლას უკავშირდება. თუ დერვიში ამ პრინციპებს დაიცავს, ის იპოვის ჭეშმარიტებას და მიაღწევს საღვთო ცოდნას.

„ოთხი კარიბჭე ორმოცი საფეხური“ პირველად ჰოჯა აჰმედ იესევის ნაშრომში „Fakrname“ ჩნდება. მოგვიანებით, ჰაჯი ბექთაშ ველი თავის ნაშრომში „Makâlât“ ამ სწავლებას განიხილავს (Özkan, 2011, s. 253). „Makâlât“-ში ჰაჯი ბექთაში ამბობს, რომ ღმერთამდე მისვლის გზა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი გადალახავს შარიათის, ტარიყათის, მარიფათის და ჰაქიქათის ოთხ კარიბჭეში არსებულ ორმოც სულიერ საფეხურს (Göktaş, 2023, s. 678). იგივე პოეტის ნაშრომში, რომელიც რწმენასა და ფილოსოფიურ მოძღვრებას ეფუძნება - „Makâlât-ı Gaybiyye ve Kelimât-ı Ayniyye“, ნათქვამია, რომ „სამყაროს მბრძანებელმა, ალაჰმა, ადამიანის ფორმა ცეცხლისგან, ქარისა და მიწისგან შექმნა და მათ ორმოცი საფეხური მიანიჭა“, რაც გულისხმობს, რომ ღმერთმა ადამიანს მისცა სულიერი განვითარების შესაძლებლობა გაიაროს ორმოც საფეხურიანი გზა, რომელიც ღმერთთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიიყვანს (Aytaş, Yılmaz, 2009, s. 36). როგორც წყაროებიდან ჩანს, რიცხვი ორმოცი რუსთაველის ორიგინალ ტექსტში შემთხვევით არაა ნახსენები, ის ზეციურ სიბრძნეს, ხელახლა დაბადებას, ჭეშმარიტებასთან შერწყმას უკავშირდება.

ახლა კი, გვინდა დავუბრუნდეთ დევების საკითხს და ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ დევებს განძის მცველის ფუნქცია აქვთ, თუმცა თურქულ ლიტერატურაში „დევი“, როგორც „განძის მცველი“ ძალიან იშვიათად გვხვდება, ეს ფუნქცია ძირითადად გველემაჰს აქვს. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა „დევის“ განმარტებისას ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „დევი სომხურად ემშაკსა ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი გველემაჰის ადგილას აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი საწარმართო აღუწერიათ ავ-სახე კაცის მსგავსი, რქინიანი. იგი მოგონებული ტყვილია (Sulkhan Saba, 1949, s. 164). ამ წყაროების მიხედვით, როგორც ქართულ, ასევე თურქულ ლიტერატურაშიც ხშირად „დევს“ ფუნქციურად ანაცვლებს „გველემაჰი“. გველემაჰი თურქულ მითოლოგიაში მნიშვნელოვანი არსებაა. იგი ითვლებოდა ძალაუფლების, დოვლათისა და ძალის სიმბოლოდ. ლიჩი გველემაჰის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: ძველი და ახალი სამყაროს ყველა ხალხის ცოდნით, ეს

მითიური არსება... ეს არსებები, რომლებსაც შემზარავი ხმა აქვთ, იცავენ საგანძურს... (Leach, 1950, s. 323). სხვადასხვა თურქული ტომის რწმენით გველუშაპის საცხოვრებელი განსხვავებულია. თურქმენულ, უზბეკურ და ყაზახურ ლეგენდებში ჩანს, რომ ის ცხოვრობს მიწისქვეშა გამოქვაბულში და იცავს განძს (Beydili, 2004, s. 192). გველუშაპები არიან არსებები, რომლებიც იცავენ ყველა სახის საგანძურს. გმირი, რომელიც ცდილობს მიაღწიოს საგანძურს, რომელიც უკვდავების სიმბოლოა, ჯერ უნდა მოკლას ეს საშიში მონსტრი, რათა დაამტკიცოს თავისი სიბრძნე (Eliade, 2003a, s. 421). გველუშაპის, როგორც საგანძურის მცველის მაგალითის მოყვანა იმისთვის დაგვიჩვენებს, რომ საგანძურის სიმბოლური მნიშვნელობისთვის კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი, რომელიც უკვდავების, შვენიერების სიმბოლოა. ასევე, საინტერესოა ორი განსხვავებული კულტურის ლიტერატურაში გამოხატული მსგავსება.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, დაფიქსირდა, რომ მთარგმნელი სამიზნე ტექსტში ფართოდ იყენებდა დამატების, სიტყვასიტყვითი თარგმანის სტრატეგიებს (Öztürk, 2022, s. 755). ვეთანხმებით ასოც. პროფ. ოზთურქის შეხედულებას, რომ თარგმანის პროცესზე მუშაობისას მხოლოდ ორი ენის ცოდნა არაა საკმარისი, აუცილებელია სხვადასხვა მეთოდის ცოდნაც. ლიტერატურაში თარგმანის ისტორიის, თეორიის, კრიტიკისა და პრაქტიკული პრობლემების დანახვა კვლევითი კონცეფციების გამოყენებითაა შესაძლებელი (Öztürk, 2022, s. 865). „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში „შეინიშნება თავისუფალი თარგმანის ტენდენციაც. შეინიშნება კლებისა და დამატების შემთხვევები, რაც ხშირად ცვლის თავდაპირველ ტექსტს“ (Öztürk, 2022, s. 65).

დასკვნა

ნაშრომში, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტისა და მისი თურქული თარგმანის შედარების საფუძველზე წარმოვადგინეთ კონცეპტ „დევის“ სიღრმისეული ანალიზი. ასევე, მოცემულ კვლევაში გათვალისწინებულია ქართულ და თურქულ ლიტერატურაში „დევის“ და მასთან დაკავშირებული კონცეპტების სიმბოლური, ფუნქციური და კულტურათაშორისი პარალელები. ჩვენი მოსაზრებით, დევების როლი სცილდება მხოლოდ ფიზიკურ დაპირისპირებას: ისინი წარმოადგენენ გმირის გონიერების, სულიერი სიმწიფისა და ინიციაციის სიმბოლურ ბარიერს. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თანამედროვე ციფრული მეთოდები. კორპუსლინგვისტური და პარალელური კორპუსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ კონცეპტი „დევი“ პოემის ორიგინალ ტექსტში 7-ჯერ დასტურდება, ხოლო თურქულ თარგმანში 11-ჯერ. მეტნაწილად დევი ადევკატურადაა თარგმნილი, თუმცა თურქულ თარგმანში რამდენიმე ადგილას გვხვდება მატებისა და კლების შემთხვევები, ზოგჯერ კონცეპტი არასწორადაა გაგებული და გადატანილი, მაგ: „ქაჯი“ თარგმნილია „დევი“ კონცეპტით, ეს ორი პერსონაჟი, მიუხედავად იმისა რომ საერთო ფუნქციებსაც ინაწილებს, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გმირებია.

„დევების“ არსებობა „ვეფხისტყაოსანში“ საინტერესო კვლევის საკითხია, რადგან ჩვენი მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ „დევი“ მისი ტრადიციული გაგებისა და ფუნქციისგან განსხვავდება და უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დევები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ფოლკლორული ბოროტი პერსონაჟების ფუნქციით. ჩვენი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დევებს სიმბოლური და ფილოსოფიური დანიშნულებაც აქვთ: ისინი პოემაში წარმოდგენილნი არიან როგორც დაფარული ცოდნის მცველები, ხოლო მათი დაცვის საგანი „განძი“ მეტაფორულად შეიძლება განიმარტოს როგორც სიბრძნე და ჭეშმარიტება. შესაბამისად, დევების და განძის სიუჟეტი და მასთან დაკავშირებული ელემენტები, რომელიც საღვრთო სიყვარულს, ჭეშმარიტების ძიებას და დაფარული ცოდნის შემეცნებას უკავშირდება ფართოდ და სიღრმისეულად განვიხილეთ. სიუჟეტები, სადაც დევები და

განძი ფიგურირებენ, მეტწილად უკავშირდება ჭეშმარიტების სიყვარულის, სულიერი ევოლუციისა და თვითშემეცნების საკითხებს, რაც თანხვედრაშია პოემის სუფიურ ფილოსოფიასთან. ამ კუთხით გავანალიზეთ საკრალური რიცხვი ორმოცი, შემდეგ კი ორიგინალ ტექსტში არსებული ეს კონცეპტი შევადარეთ თურქულ თარგმანს და თურქულ ლიტერატურას, რომლის მიხედვითაც თურქული ფოკლორული და შუა საუკუნეების კლასიკური ლიტერატურის მაგალითებზე დაყრდნობით საინტერესო დასკვნები გავაკეთეთ.

დადგინდა, რომ მიუხედავად ორი განსხვავებული კულტურისა, „ვეფხისტყაოსანში“ დევთან დაკავშირებული სიმბოლოები იმავე იდეურ-ფილოსოფიურ დატვირთვას ატარებს, რასაც თურქულ ლიტერატურაში ვხვდებით. ორივე ლიტერატურულ ტრადიციაში დევი გმირის სულიერი გამოცდის, ცოდნის ძიებისა და შინაგანი გარდაქმნის სიმბოლოა. ვფიქრობთ, რომ ეს კვლევა მცირედით მაინც შეავსებს ქართულ-თურქული ლიტერატურული კვლევების დეფიციტს ამ მიმართულებით. ასევე, კვლევის პროცესში მეტ-ნაკლებად განვიხილეთ სუფიზმის ენაც, რაც მომავლისთვის მნიშვნელოვან საკვლევ საკითხად მიგვაჩნია.

Kaynakça

- Antelava, N. (2017). *Myths and Rituals of the Peoples of the Caucasus* („კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“). Tbilisi: Universali.
- Aytaş, G., & Yılmaz, H. (Haz.). (2009). *Makâlât-ı Gaybiyye ve Kelimât-ı Ayniyye*. Ankara: Gazi Üniversitesi Türk Kültürü ve Hacı Bektaş-ı Velî Araştırma Merkezi Yayınları.
- Bahadur, Y. (2019). Türk Dünyası Masallarında İyi Huylu Devler ve Fonksiyonları. *Uluslararası Uygur Araştırmaları Dergisi*, (14), 121–134.
- Beydili, C. (2004). *Türk Mitolojisi Ansiklopedik Sözlük* (çev. Eren Ercan). Ankara: Yurt-Kitap Yayın.
- Chijavadze, Sh. (1963). *The Issue of Portraying Reality in The Man in the Panther's Skin* (სინამდვილის ასახვის საკითხი ვეფხისტყაოსანში). Tbilisi, 7.
- Dindar, B., Makas, Z. (1991). *Kaplan Postlu Şövalye*. Samsun: Eser Matbaası.
- Doğan, A. (2008). *Dönüşüm Sürecindeki İnsanın Sembolik Seyahati ve Hüsn ü Aşk Örneği*. (Yayınlanmamış Doktora Tezi). Fırat Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü.
- Eliade, M. (2003a). *Dinler Tarihine Giriş*. İstanbul: Kabalcı Yayınevi.
- Ercilasun, A. B. (1991). *Karşılaştırmalı Türk Lehçeleri Sözlüğü*. Ankara: Kültür Bakanlığı.
- Gamsakhurdia, Z. (1991). Vepkhistkaosnis sakhismetkveleba („ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება), Tbilisi: Metsniereba.
- Göktaş, V. (2023). Kadîmî Baba Dîvânı'nda Dört Kapı Kırk Makam. *Korkut Ata Türkiyat Araştırmaları Dergisi*, 11, 675–699.
- Khvedeliani, T. (2016). *Mythical - Fairy-tale World, Term, Concept and Paradigm in “The Knight in the Panther's Skin”* („ვეფხისტყაოსნის“ მითოსური...). Tbilisi: Mtsignobari.
- Kiknadze, Z., Tonia, N. (2006). *Mythological Encyclopedia* (მითოლოგიური ენციკლოპედია: გამწვითათვის), C.2. Tbilisi: Bakmi.
- Khutsesi, I. (2017). “Martyrdom of the Holy Queen Shushanik” (შუშანიკის წამება), http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/iakob_curtaveli/Shushanikis%20Tsameba.pdf
- Leach, M. (1950). *Standard Dictionary of Folklore Mythology and Legend I-II*. New York: Funk Wagnalls Comp.
- Melikishvili, D. (2010). *Old Georgian-Greek Documented Dictionary of Philosophical-Theological Terminology* (ძველქართულ-ძველბერძნული...). Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.
- Özkan, F. H. (2011). Eşrefoğlu Rûmî Dîvânı'nda Dört Kapı Kırk Makam. *Türk Kültürü ve Hacı Bektaş Velî Araştırma Dergisi*, 59, 253–277.
- Öztürk, G. M., Telci, S. (2021). Mikail Cavakhişvili'nin “Orman Adam” adlı hikâyesinin Türkçe karşılaştırmalı analizi. *International Journal of Language Academy*, 9(4), 272–287.
- Öztürk, G. M. (2021). Bazı Gürcü Deyimlerin Türkiye Türkçesindeki Karşılıkları Üzerine Bir İnceleme. *Uluslararası Disiplinler Arası Dil Araştırmaları (DADA) Dergisi*, 2021/2, Haziran, 51–62.
- Öztürk, G. M. (2022). Çeviri stratejileri ve işlemleri açısından Cemal Karchadze'nin “Antonio ve Davit” adlı romanının incelenmesi. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (Ö11), 745–755.
- Öztürk, G. M. (2022). Davit Kldiaşvili'nin “Samanişvili'nin Üvey Annesi” Adlı Romanının Gürcüce Çevirisinin Eşdeğerlik Bağlamında İncelenmesi. *Türkiye'de Kartveloloji Çalışmaları*. Ankara: Sonçağ Akademi.
- Öztürk, G. M. (2022). Çeviri Bağlamında Türkçe Deyimlerin Gürcüce Çevirilerine Bir Bakış. *Dünya Edebiyatından Seçkin Araştırmalar*. Ankara: Sonçağ Akademi.
- Öztürk, G. M. (2022). “Ninni Ne Yaptı?” Hikâye Çevirisi Üzerine Bir İnceleme. *International Social Sciences Studies Journal*, 8(96), 865–869.

- Öztürk, G. M. (2022). *Gürcü Edebiyatında Türk sosyal yaşamının tasviri/imesi*. In AMEA Qafqazsünashlıq İnstitutu (Ed.), *Elmi meruzeler/Scientific papers* (2-ci kitab) (pp. xx-xx). Bakı: Azərbaycan Milli Elmlər Akademiyası Qafqazsünashlıq.
- Öztürk, G. M. (2023). Suat Derviş’in “Fosforlu Cevriye” adlı eserinin Gürcüce çevirisinin erek odaklı çeviri kuramı ışığında incelenmesi. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (Ö12), 657–667.
- Öztürk, G. M. (2024). “Mavi Dağlar Ülkesi” adlı hikâyenin Gürcüce ve Türkçe baskıları üzerine bir inceleme. *Rumeli Filoloji Yazıları 1*. Kırklareli: RumeliYA Yayıncılık.
- Öztürk, G. M. (2024). Türkçenin Konuşulduğu Yerde XIX. Yüzyıl Gürcü Yazarlığı. *Türk-Gürcü Kültürel İlişkileri: Tarih – Kültür – Edebiyat – Dil*, No. 50. Düzce: Düzce Üniversitesi Yayınları.
- Öztürk, G. M. (2024). Gürcü Edebiyatında Dilin Yeniden Şekillenmesi: Vaja Pşavela’nın Eserleri Üzerine Bir Değerlendirme. *Uluslararası Türkçe Edebiyat Kültür Eğitim Dergisi*, 13(2), 560–571.
- Rustaveli, Sh. (1957). *The Knight in the Panther’s Skin* („ვეფხისტყაოსანი“). Haz. Shanidze, A., Kekelidze, A., Baramidze, A. Tbilisi: Sakhelgami.
- Sulkhan-saba. (1949). *Georgian Dictionary* („სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“). Tbilisi: Georgian SSR State Publishing House.
- Sümbüllü, Y. Z. (2000). *Türkmen Masalları Üzerine Motif İncelemesi (Büyülü Masallar)*. (Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi). Atatürk Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, Erzurum.
- Sümbüllü, Y. Z. (2000). *Türkmen Masalları Üzerine Motif İncelemesi (Büyülü Masallar)*. (Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi). Atatürk Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, Erzurum.
- Şahin, Ö. (2020). “Türk Destanlarındaki Devlerin Genel Özellikleri ve Türk Mitolojisi ile İlgileri”, *Yenisey*, Yıl: 1, Sayı: 1.
- Şimşek, E. (2001). *Yukarıçukurova Masallarında Motif ve Tip Araştırması I-II*. Ankara: T.C. Kültür Bakanlığı Yayınları.
- TDEA. (2001). Dev, div. *Türk Dili ve Edebiyatı Ansiklopedisi*, C. II, 274–275. Ankara: Atatürk Kültür Merkezi Başkanlığı Yayınları.
- Tsanava, A. (1992). *Georgian Mythology* (ქართული მითოლოგია). Tbilisi: Merani.